



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

ადამიანის უფლებების უმძიმესი კრიზისი საქართველოში

მოსკოვის მეთანიზმის მიზნების მიმოხილვა



ადამიანის უფლებების უმძიმესი
კრიზისი საქართველოში

მოსკოვის მექანიზმის მიზნების მიმოხილვა

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2026, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

შესავალი

2026 წლის 12 მარტს ეუთოს მოსკოვის მექანიზმის უკიდურესად კრიტიკული ანგარიში გამოქვეყნდა, რომელიც საქართველოში 2024 წლის გაზაფხულიდან დღემდე ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კუთხით არსებულ ვითარებას შეეხება.¹ ანგარიში კიდევ ერთხელ ადასტურებს ადამიანის უფლებების სრულ უგულებელყოფას, სისტემური და ფართომასშტაბიანი დარღვევების პრაქტიკას, ავტორიტარული მმართველობის გაძლიერებასთან დაკავშირებულ მოვლენებსა და ტენდენციებს, რომლებზეც, უკვე წლებია, უფლებადამცველები და საერთაშორისო მექანიზმები მიუთითებენ.

ანგარიშის სიმწვავეს ადასტურებს ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციებიც, რომლებიც, ფაქტობრივად, ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმის გააქტიურებას შეეხება. სახელმწიფოებისთვის მიცემული რეკომენდაციები, რომლებიც სრულად მოიცავს პასუხისმგებლობის როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო საშუალებებს, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის განსაკუთრებულ სიმძიმეს და საერთაშორისო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობის აუცილებლობას.

საია გთავაზობთ მოსკოვის მექანიზმის ანგარიშის მიმოხილვას, რომელშიც გაანალიზებულია სხვადასხვა მიმართულებით გამოკვეთილი პრობლემები, მნიშვნელოვანი რეკომენდაციები და მათში დასახელებული საერთაშორისო თუ ეროვნული მექანიზმების არსი.

1. რა არის ეუთოს მოსკოვის მექანიზმი?

„მოსკოვის მექანიზმი“ (ეუთოს ადამიანური განზომილების მექანიზმი) საშუალებას იძლევა, ეუთოს წევრ სახელმწიფოში ჩატარდეს ფაქტების დამდგენი მისია დამოუკიდებელი ექსპერტ(ებ)ის (მომხსენებლ(ებ)ის) მიერ. მოსკოვის მექანიზმის გააქტიურება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ერთი სახელმწიფო, მინიმუმ ცხრა სხვა სახელმწიფოს მხარდაჭერით, მიიჩნევს, რომ ეუთოს წევრ კონკრეტულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების კუთხით განსაკუთრებით სერიოზული საფრთხე წარმოიშვა.²

საქართველოსთან დაკავშირებით მოსკოვის მექანიზმი 2026 წლის 29 იანვარს ეუთოს 23-მა წევრმა სახელმწიფომ აამოქმედა.³

მოსკოვის მექანიზმის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები სახელმწიფოებისთვის შესასრულებლად სავალდებულო არ არის, თუმცა ისინი მაღალი რეპუტაციით სარგებლობს და ეუთოს წევრ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს, ადამიანის უფლებების კუთხით არსებულ გამოწვევებზე თავიანთი რეაქცია ფაქტებსა და ექსპერტულ შეფასებებზე დააფუძნონ.

¹ ანგარიში იხილეთ ბმულზე: <https://odihr.osce.org/news/odihr/662728>.

² <https://odihr.osce.org/odihr/20066>.

³ <https://odihr.osce.org/news/odihr/661963>.

2. წამება და არაადამიანური მოპყრობა

ანგარიშის მიხედვით, მომხსენებელმა ბევრი პირისგან მიიღო ჩვენება სავარაუდო წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მომხსენებელს არ შეუძლია მათი სიზუსტის შესახებ დასკვნების გაკეთება, იგი ხაზს უსვამს მიღებული ინფორმაციის მოცულობას და თანმიმდევრულობას. იმავდროულად, აღნიშნავს, რომ ზოგჯერ წამების შესახებ მიღებულ ინფორმაციას თან ახლდა ფოტო-ვიდეო მასალა და სამედიცინო დოკუმენტაცია. ეს ჩვენებები სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ქცევის გარკვეულ მოდელებზე მიუთითებს, რაც, ასევე, დასტურდება სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარმოებული დოკუმენტირებით. ანგარიშის მიხედვით, მომხსენებელმა არასათანადო მოპყრობის მძიმე შემთხვევების შესახებ ინფორმაცია სახალხო დამცველისგანაც მიიღო. რეპორტიორის თანახმად, ეს მასალები prima facie წამების ყველა მახასიათებელს შეიცავს.⁴

ანგარიშში არასარწმუნოდ არის მიჩნეული შინაგან საქმეთა სამინისტროს მტკიცება, რომ დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოყენებული ძალა აუცილებელი და პროპორციული იყო. ასევე მითითებულია, რომ აქციის მონაწილეთა უმრავლესობა იყო მშვიდობიანი, ხოლო აქციები არ შეიცავდა სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზებული მცდელობის მახასიათებლებს, რასაც ცალკეული ადამიანების ძალადობრივი ქმედებები ვერ ცვლის.⁵

ანგარიშში ასევე ყურადღება გამახვილებულია საპოლიციო ძალადობის გამოუძიებლობაზე. მომხსენებლის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ის მოკლებულია საგამოძიებო მოქმედებების შეფასების შესაძლებლობას, სავარაუდოა, რომ გამოძიება ეფექტიანი არ არის და საქართველო, სავარაუდოდ, წამების აკრძალვის პროცედურულ ნაწილს არღვევს.⁶

ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციები კიდევ ერთხელ ადასტურებს წამებისა და არასათანადო მოპყრობის სიმწვავეს. გარდა უშუალოდ სახელმწიფოს მისამართით გაცემული რეკომენდაციებისა, რომლებიც არასათანადო მოპყრობისგან თავის შეკავებას და მათ გამოძიებას შეეხება,⁷ ასევე საყურადღებოა საერთაშორისო საზოგადოებისა და ეუთოს სხვა წევრების მიმართ გაცემული რეკომენდაციები.

ანგარიში მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, განიხილოს წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირებისა და მათი ზემდგომების მიმართ უნივერსალური იურისდიქციის გამოყენება („განიხილოს წამების, არაადამიანური მოპყრობისა და ამაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელი პირების მართლმსაჯულების წინაშე წარდგენა ეროვნულ სასამართლოებში, სადაც ეს შესაძლებელია, მათ შორის, უნივერსალური იურისდიქციის გამოყენებით.“).⁸ უნივერსალური იურისდიქცია გულისხმობს ეროვნული სასამართლო სისტემების უფლებამოსილებას, გამოიძიონ და სისხლისსამართლებრივი ღევნა აწარმოონ

⁴ იხილეთ ანგარიში, პარ. 172-173.

⁵ იხილეთ ანგარიში, პარ. 174-178.

⁶ იხილეთ ანგარიში, პარ. 181-188.

⁷ იხილეთ ანგარიში, გვ. 7.

⁸ იხილეთ ანგარიში, გვ. 10.

საერთაშორისო სამართლის განსაკუთრებით მძიმე დარღვევებზე პასუხისმგებელ პირთა მიმართ, მიუხედავად იმისა, სად ჩაიდინეს მათ დანაშაული და რომელი ქვეყნის მოქალაქეები არიან ისინი ან დაზარალებულები.⁹ უნივერსალურ იურიდიულის შესაძლო გამოყენებაზე მითითება განსაკუთრებით აშკარას ხდის დარღვევათა სიმძიმესა და მასშტაბს.

რეკომენდაციები მიემართება ასევე წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის (CAT) მონაწილე სახელმწიფოებს, გაეროს წამების წინააღმდეგ კომიტეტს და გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტს (SPT).

ამ რეკომენდაციების მიხედვით, CAT-ის წევრმა სახელმწიფოებმა „შესაძლოა, განიხილონ სახელმწიფოთაშორისი შეტყობინების წარდგენა წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტში.“¹⁰ ეს მექანიზმი გულისხმობს CAT-ის წევრი სახელმწიფოს მიერ წამების წინააღმდეგ კომიტეტისთვის კომუნიკაციის წარდგენას, რომელიც სხვა სახელმწიფოს მიერ კონვენციის ვალდებულებების დარღვევას შეეხება (CAT-ის 21-ე მუხლი). მსგავსი ტიპის კომუნიკაციები უკიდურესად იშვიათია¹¹ და მასზე მითითება მოსკოვის მექანიზმის მიგნებების კრიტიკულ შინაარსს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

რეკომენდაციების მიხედვით, CAT-ის „წევრმა სახელმწიფოებმა, შესაძლოა, განიხილონ სარჩელის წარდგენა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში“.¹² მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო (ICJ) გაეროს მთავარი სასამართლო ორგანოა.¹³ გარკვეულ შემთხვევებში, წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის (CAT) საფუძველზე სახელმწიფოთა შორის დავა, შესაძლოა, ICJ-მ განიხილოს. CAT-ის 30-ე მუხლის მიხედვით, ნებისმიერი დავა ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის კონვენციის ინტერპრეტაციასა ან გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლის მოგვარებაც ვერ ხერხდება მოლაპარაკების გზით, ერთ-ერთი მათგანის მოთხოვნით, განსახილველად გადაეცემა არბიტრაჟს. თუ ამ მოთხოვნის თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ შეთანხმებას არბიტრაჟის ორგანიზების თაობაზე, ნებისმიერ ამ მხარეს შეუძლია, დავა განსახილველად გადასცეს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს, სასამართლოს სტატუტის მიხედვით გაკეთებული მოთხოვნის მეშვეობით.

ანგარიშის მიხედვით, წამების წინააღმდეგ კომიტეტმა და წამების პრევენციის ქვეკომიტეტმა (SPT) განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ საქართველოში არსებულ ვითარებას.¹⁴ ორივე ეს მექანიზმი გაეროს სახელმეკრულებო ორგანოა, რომლებიც, წამების წინააღმდეგ კონვენციის (CAT) და მისი დამატებითი ოქმის შესაბამისად, ზედამხედველობენ სახელმწიფოთა მიერ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.¹⁵

⁹ <https://www.hrw.org/topic/international-justice/universal-jurisdiction>.

¹⁰ იხილეთ ანგარიში, გვ. 11.

¹¹ <https://www.omct.org/en/what-we-do/committee-against-torture>.

¹² იხილეთ ანგარიში გვ. 11.

¹³ <https://www.icj-cij.org/court>.

¹⁴ იხილეთ ანგარიში გვ. 11.

¹⁵ <https://www.ohchr.org/en/treaty-bodies/cat>; <https://www.ohchr.org/en/treaty-bodies/spt>.

საყურადღებოა, ასევე რომის სტატუტის მონაწილე ქვეყნებისადმი გაცემული რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, **რომის სტატუტის წევრმა სახელმწიფოებმა, შესაძლოა, განიხილონ საქართველოში არსებული ვითარების გადაცემა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის, პოლიტიკური დევნის, წამებისა და სხვა არაადამიანური ქმედებების მზარდი რაოდენობის გათვალისწინებით.**¹⁶ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ჰააგის სასამართლო) ასამართლებს ადამიანებს უმძიმესი საერთაშორისო სამართლებრივი დანაშაულების ჩადენისთვის, მათ შორის, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის.¹⁷ რომი სტატუტის მიხედვით, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული გულისხმობს სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში ჩადენილ ისეთ ქმედებებს, როგორებიცაა (მათ შორის) წამება და მსგავსი ხასიათის სხვა არაადამიანური მოპყრობა, რომლებიც განზრახ იწვევს მძიმე ტანჯვას, სხეულის, მენტალური ან ფიზიკური ჯანმრთელობის სერიოზულ დაზიანებას (იხილეთ რომის სტატუტი, მუხლი 7).

2024 წლის საპროტესტო აქციებზე ქიმიური საშუალებების გამოყენების კონტექსტში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც „**1992 წლის ქიმიური იარაღის კონვენციის წევრმა სახელმწიფოებმა, შესაძლოა, განიხილონ ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის (OPCW) აღმასრულებელი საბჭოსთვის მიმართვა, რათა 1992 წლის ქიმიური იარაღის კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად მოხდეს საქართველოს ხელისუფლების მიერ ქიმიური იარაღის სავარაუდო გამოყენების ფაქტების დაზუსტება.**“¹⁸ აღნიშნული კონვენციის მე-9 მუხლი კონსულტაციებს, თანამშრომლობას და ფაქტების დადგენას შეეხება. ამ მუხლის მიხედვით, ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს, აღმასრულებელ საბჭოს სთხოვოს დახმარება ნებისმიერ სიტუაციაში გარკვევაში, რომელიც შეიძლება მიჩნეული იყოს ბუნდოვნად ან რომელიც წარმოშობს შეშფოთებას სხვა მონაწილე სახელმწიფოს მიერ წინამდებარე კონვენციის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით. ასევე, ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს, აღმასრულებელ საბჭოს სთხოვოს, სხვა მონაწილე სახელმწიფოსგან მოიპოვოს განმარტება ნებისმიერ სიტუაციაზე, რომელიც შეიძლება მიჩნეული იყოს ბუნდოვნად ან რომელიც წარმოშობს შეშფოთებას წინამდებარე კონვენციის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით.

ანგარიში ასევე მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, „**უზრუნველყოს იმ პირთა დაცვა და დახმარება, რომლებსაც ქვეყნის დატოვება მოუწიათ, მათ შორის, შესაბამისი საერთაშორისო დაცვის მინიჭების გზით, ასევე ადამიანის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებული დაზიანებებისა და ტრავმების მკურნალობის გზით.**“¹⁹ ეს რეკომენდაცია აჩვენებს წამებისა და სისტემური უფლებადარღვევების მძიმე და სამწუხარო შედეგებს, მათ შორის, ტრავმების მკურნალობისა და რეაბილიტაციის საჭიროებას და მიაჩნებს იძულებითი ემიგრაციის პრობლემაზე, რაც, როგორც წესი, საქართველოში არსებულ რეპრესიულ გარემოს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

¹⁶ იხილეთ ანგარიში, გვ. 11.

¹⁷ <https://www.icc-cpi.int/about/the-court>.

¹⁸ იხილეთ ანგარიში, გვ. 10.

¹⁹ იხილეთ ანგარიში, გვ. 10.

3. შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება

ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების კუთხით არსებულ მძიმე მდგომარეობაზე. კრიტიკულად არის შეფასებული შეკრების თავისუფლების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯები, მათ შორის, არაპროპორციულად მაღალი სანქციების დაწესება, ადმინისტრაციული პატიმრობის ალტერნატიული სანქციის არარსებობა საპროტესტო გამოხატვასთან დაკავშირებული გარკვეული სამართალდარღვევებისთვის, სახის დაფარვის ბლანკეტური აკრძალვა და სხვა შეზღუდვები. ანგარიში სახელმწიფოს მათი გაუქმებისკენ მოუწოდებს.²⁰

ანგარიშში ასევე გაკრიტიკებულია გამოხატვის თავისუფლების კუთხით არსებული მდგომარეობა, მათ შორის, მედიაგარემოს მკვეთრი გაუარესება, მაუწყებლობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები. მომხსენებელი ასევე ყურადღებას ამახვილებს ჟურნალისტებზე ფიზიკური თავდასხმის შემთხვევებზე.²¹ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ცილისწამებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები გამოხატვის თავისუფლების დაზიანების და მსუსხავი ეფექტის შექმნის მაღალ რისკს შეიცავს.²²

ანგარიში ასევე უარყოფითად აფასებს ე.წ. ოჯახური ღირებულებების შესახებ ანტი-ლგბტქ კანონს. მას, მათ შორის, გამოხატვის, შეკრების და გაერთიანების თავისუფლებებთან შეუსაბამოდ მიიჩნევს და სახელმწიფოს მისი გაუქმებისკენ მოუწოდებს.²³

4. გაერთიანების თავისუფლება

ანგარიში იზიარებს რუსული კანონის, ე.წ. ფარასა და გრანტების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების შესახებ ვენეციის კომისიისა და ეუთო/ODIHR-ის მიერ აქამდე გაკეთებულ კრიტიკულ შეფასებებს და ადამიანის უფლებებთან მათ შეუსაბამობაზე ცალსახად მიუთითებს. ანგარიშში, გარდა გაერთიანების თავისუფლებისა, საუბარია ამ კანონების უარყოფით გავლენაზე სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე და სახელმწიფოს მათი გაუქმებისკენ მოუწოდებს.²⁴

5. სისხლის სამართლის ბართლმსაჯულება და თავისუფლების უფლება

ანგარიში ყურადღებას ამახვილებს სისხლის სამართლის გამოყენების შერჩევით და ზოგჯერ თვითნებურ პრაქტიკაზე, რომლის მიზანია განსხვავებული აზრის ჩახშობა. ამასთანავე, ეს პრაქტიკა განსაკუთრებით მსუსხავ ეფექტს ქმნის იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ხელისუფლების პოლიტიკას არ ეთანხმებიან.²⁵ ანგარიში სახელმწიფოს მოუწოდებს, დაუყოვნებლივ და უპირობოდ გათავისუფლდეს პოლიტიკური მიზეზებით დაკავებული ყველა პატიმარი, განსაკუთრებით, ოპოზიციის წევრები და მომავალში თავიდან იყოს არიდებული პოლიტიკური მიზეზებით მათი დაკავება. ანგარიში ასევე მოუწოდებს სახელმწიფოს, დაუყოვნებლივ გათავისუფლდნენ

²⁰ იხილეთ ანგარიში, გვ. 8, ასევე, პარ. 224-227.

²¹ იხილეთ ანგარიში, პარ. 236-244.

²² იხილეთ ანგარიში, პარ. 224.

²³ იხილეთ ანგარიში, გვ. 6, ასევე, პარ. 212-223.

²⁴ იხილეთ ანგარიში, გვ. 6, ასევე, პარ. 191-211.

²⁵ იხილეთ ანგარიში, პარ. 232, 233.

ჟურნალისტები და საჯარო დებატების სხვა მონაწილეები, რომლებიც დააკავეს გამონატვის თავისუფლების განხორციელებისთვის. თავიდან იყოს არიდებული მომავალში მსგავს გარემოებებში დაკავება.²⁶

6. სასამართლოების დამოუკიდებლობა

ანგარიშში არსებული რეკომენდაციების მიხედვით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სასამართლოს დამოუკიდებლობა და პატივი სცეს მას, მათ შორის, განსაკუთრებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი რეფორმის გზით.²⁷ გარდა ამისა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასამართლო პროცესების სათანადო გამჭვირვალობა.²⁸

დოკუმენტის მიხედვით, თანმიმდევრული რეფორმებისა და მათ მიმართ არსებული კრიტიკის ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოში სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული პრობლემების ძირითადი მიზეზი სისტემური კონტროლია, რომელსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო ახორციელებს.²⁹ საბჭოს აქვს ფართო უფლებამოსილებები ინდივიდუალურ მოსამართლეებთან მიმართებით, მათ შორის, მათი დანიშვნის (უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების ჩათვლით), დაწინაურების, მივლინებისა და დისციპლინური წარმოების საკითხებში.³⁰ დოკუმენტი ეყრდნობა ვენეციის კომისიის მოსაზრებას, რომელიც მიუთითებს, რომ საბჭოს მიმართ კვლავ არსებობს მუდმივი ბრალდებები კორპორატივიზმის არსებობის შესახებ.³¹

გარდა ამისა, მომხსენებლის აზრით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფართო უფლებამოსილებები, მისი საქმიანობის გაუმჭვირვალობა, ასევე, საზოგადოებაში არსებული აღქმა, რომ იგი კონტროლდება და იმართება სასამართლო სისტემის შიგნით არსებული გავლენიანი ჯგუფის მიერ, საქართველოში სამართლიანი სასამართლოს უფლების მიმართ გარკვეულ გამოწვევებს წარმოშობს.³² მომხსენებელი ხაზგასმით საუბრობს საქართველოს სასამართლო სისტემის წინაშე არსებულ სისტემურ გამოწვევებზე, რომლებიც ამ მანდატით გათვალისწინებულ პერიოდში არ გამოსწორებულა. პირიქით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საერთო სასამართლოების გამჭვირვალობის ხარისხის გაუარესებამ ეს გამოწვევები მხოლოდ გაამწვავა.³³

7. თავისუფალი არჩევნები და პოლიტიკური კულტურა

ანგარიშის მიხედვით, საქართველოში მზარდ პრობლემას განეკუთვნება პოლიტიკური კულტურის ხარისხის სისტემური აღმოფხვრა, რაც ოპოზიციის განადგურებასა და კრიტიკული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართულ

²⁶ იხილეთ ანგარიში, გვ. 7.

²⁷ იხილეთ ანგარიში, გვ. 8.

²⁸ იქვე.

²⁹ იხილეთ ანგარიში პარ. 105.

³⁰ იქვე.

³¹ იქვე.

³² იხილეთ ანგარიში, პარ. 288.

³³ იხილეთ ანგარიში, პარ. 290.

პოლიტიკაში გამოიხატება.³⁴ სწორედ ამ კონტექსტში დოკუმენტში ჩნდება ტერმინი „სახელმწიფოს მიტაცება“ (State capture), რომლითაც აღწერილია მმართველი პარტიის მიერ სახელმწიფო ინსტიტუტებზე კონტროლის დამყარება. ანგარიშის მიხედვით, ასეთი კონტროლი შესაძლებელს ხდის კანონმდებლობის სწრაფად შეცვლასა და სახელმწიფო ინსტიტუტების გამოყენებას პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ.³⁵

დოკუმენტში ჩამოთვლილია რამდენიმე მექანიზმი, რომელთა საშუალებითაც, მომხსენებლის შეფასებით, ხდება ოპოზიციის სისტემური დასუსტება, მათ შორისაა: პოლიტიკური პარტიების აკრძალვასთან დაკავშირებით გადადგმული ნაბიჯები, ოპოზიციის ლიდერების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი საქმეების წარმოება, ოპოზიციის წარმომადგენლების წინააღმდეგ ძალადობის ფაქტებზე სახელმწიფო აპარატის არასათანადო რეაგირება, ასევე, მედიაში წარმოებული დისკრედიტაციის კამპანიები და დაშინების რიტორიკა.³⁶ ანგარიში ხელისუფლებას მოუწოდებს, თავი შეიკავოს ოპოზიციის დისკრედიტაციისა და დაშინების კამპანიისა და საკონსტიტუციო სასამართლოში პოლიტიკური პარტიების აკრძალვის პროცედურების თვითნებური დაწყებისგან.³⁷

ამასთანავე, ანგარიშის მიხედვით, 2024 და 2025 წლების არჩევნების მიმდინარეობისას გამოვლენილი დარღვევების კონტექსტში, მნიშვნელოვანია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

უნდა ჩატარდეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებულ ყველა ბრალდებაზე.

უნდა განხორციელდეს არჩევნების ორგანიზებისთვის აუცილებელი ცვლილებები ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) რეკომენდაციების შესაბამისად, რომლებიც ასახულია 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ მომზადებულ ანგარიშში.

მომავალ არჩევნებზე დასასწრებად მოწვეულნი უნდა იყვნენ გარე დამკვირვებლები (კონკრეტულად, ეუთო/ODIHR-ის მისია). მოწვევა უნდა გაიგზავნოს საკმარისი დროით ადრე, რათა მისიამ შეძლოს სადამკვირვებლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვა.

³⁴ იხილეთ ანგარიში, პარ. 298.

³⁵ იხილეთ ანგარიში, პარ. 299.

³⁶ იხილეთ ანგარიში, პარ. 299–300.

³⁷ იხილეთ ანგარიში, პარ. 300.

შეჯამება

როგორც ზემოთ მოცემული მიმოხილვა ცხადყოფს, ანგარიშის მიხედვით, საქართველოში ადამიანის უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობა მრავალი მიმართულებით ქმნის შეშფოთების საფუძველს და საერთაშორისო საზოგადოებისგან აქტიურ მონიტორინგს საჭიროებს. ამის ილუსტრაცია არის რეკომენდაცია, რომელიც გაეროს სპეციალურ პროცედურებს მიემართება.

რეკომენდაცია მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, „ხელი შეუწყოს გაეროს სპეციალური პროცედურების ჩართვას ადამიანის უფლებათა დაცვასა და პოპულარიზაციაში, განიხილოს საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის შექმნა. გაეროს სპეციალურ პროცედურებსა და ადამიანის უფლებათა საბჭოს სხვა მექანიზმებს შორის, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შემდეგს:

ა. თვითნებური დაკავების საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფს (WGAD) - რაც განსაკუთრებით სასარგებლოა, რადგან არ არსებობს ეროვნული სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვის მოთხოვნა;

ბ. სპეციალურ მომხსენებელს წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის საკითხებში;

გ. სპეციალურ მომხსენებელს აზრისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის საკითხებში;

დ. სპეციალურ მომხსენებელს მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების საკითხებში;

ე. სპეციალურ მომხსენებელს უფლება დამცველთა მდგომარეობის შესახებ;

ვ. სპეციალურ მომხსენებელს მოსამართლეთა და იურისტთა დამოუკიდებლობის საკითხებში;

ზ. სპეციალურ მომხსენებელს იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების შესახებ;

თ. სპეციალურ მომხსენებელს უმცირესობათა საკითხებში;

ი. სპეციალურ მომხსენებელს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შესახებ;

კ. დამოუკიდებელ ექსპერტს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის საკითხებში;

ლ. სპეციალურ მომხსენებელს ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ;

მ. ქალთა და გოგონათა მიმართ დისკრიმინაციის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფს“.³⁸

ეს რეკომენდაცია, თავის მხრივ, გაეროს სპეციალური პროცედურების საკმაოდ ფართო სპექტრს მოიაზრებს იმ მექანიზმთა შორის, რომელთა მანდატიც, საქართველოში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულად რელევანტურია. აღნიშნული გამოწვეულია საქართველოში ადამიანის უფლებათა პრობლემების კომპლექსურობით და მრავალი მიმართულებით მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით.

საერთაშორისო ზედამხედველობის ან/და პასუხისმგებლობის მექანიზმებზე ამგვარი ფართო მითითება რეკომენდაციებში (რომელთა დიდი ნაწილიც ამ მიმონილვაში არის შესული), ქვეყნის შიგნით არსებული სიტუაციის სიმწვავის გარდა, ასევე, შესაძლოა, იყოს იმის ინდიკატორი, რომ ეროვნულ დონეზე დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვის, სასამართლოს ინსტიტუციური ჩარჩოს მოშლის და სახელმწიფოს სრული მიტაცების პირობებში, საერთაშორისო ინსტრუმენტებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

³⁸ იხილეთ ანგარიში, გვ. 10.

დანართი: მოსკოვის მექანიზმის ანგარიშის რეკომენდაციები

საქართველოსადმი განკუთვნილი რეკომენდაციები

თავისუფალი არჩევნების შესახებ:

1. არჩევნების დარღვევებთან დაკავშირებული ყველა ბრალდების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება.
2. არჩევნების ორგანიზების კუთხით აუცილებელი ცვლილებების განხორციელება, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODHIR) მიერ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებულ ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების შესაბამისად.
3. მომავალ არჩევნებზე დასაკვირვებლად გარე დამკვირვებლების (კერძოდ, ეუთოს/ODHIR-ის მისიის) მოწვევა. ამის თაობაზე განაცხადი უნდა გაიგზავნოს საკმარისი დროით ადრე, რათა ODHIR-მა შეძლოს საარჩევნო მისიის შინაარსიანად განხორციელება.
4. ოპოზიციის შესახებ ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელების, დაშინებისა და მუქარის შემცველი კამპანიებისგან თავის შეკავება.
5. საკონსტიტუციო სასამართლოში პოლიტიკური პარტიების აკრძალვის პროცედურების თვითნებური დაწყებისგან თავის შეკავება. უკვე გაგზავნილი მოთხოვნების უკან გამოხმობა.
6. პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერების წინააღმდეგ თვითნებურად წაყენებული ბრალდებების (კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე, 318-ე და 319-ე მუხლების საფუძველზე) უკან გახმობა.

საკანონმდებლო რეფორმების შესახებ:

1. უნდა გაუქმდეს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი, „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონი (FARA) და „გრანტების შესახებ“ კანონში უცხოურ გრანტებთან დაკავშირებული დებულებები, რადგან ისინი არ შეესაბამება „საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებს“. მომხსენებელი მიიჩნევს, რომ ისინი ვერ შეიცვლება ისე, რომ თანხვედრაში იყოს ამ ვალდებულებებთან. იმ შემთხვევაში, თუ საქართველო გადაწყვეტს, რომ არ გააუქმოს ეს კანონები, ისინი, სულ მცირე, უნდა შეიცვალოს ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად. ეს გულისხმობს ამ კანონმდებლობის გავრცელების სფეროში მყოფი სუბიექტების, ბენეფიციარებისა და თანამშრომლების შესახებ მგრძობიარე ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულების ამოღებას; აღნიშნული კანონების დარღვევისთვის ჯარიმების შემცირებას; „უცხოელი პრინციპალის აგენტებად“ რეგისტრაციის ვალდებულების მნიშვნელოვან შეზღუდვას, იმის გათვალისწინებით, მართლაც მოქმედებს თუ არა სუბიექტი უცხოეთის მითითებებით. გარდა ამისა, ამ კანონებში ფორმულირება გაცილებით ზუსტი უნდა იყოს.
2. ანალოგიურად, უნდა გაუქმდეს „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შესული ბოლოდროინდელი ცვლილებები, რომლებიც ეხება უცხოური დაფინანსების და მაუწყებლობის შინაარსის შეზღუდვებს (მუხლი 54).
3. უნდა გაუქმდეს „ოჯახური ღირებულებების შესახებ“ კანონი. ეს ეხება, კონკრეტულად, მაგრამ არა მხოლოდ, ერთნაირსქესიანთა ურთიერთობებისა და ტრანს-

გენდერული იდენტობის ინცესტთან გათანაბრებას, ამ ცნებების „პოპულარიზაციის“ აკრძალვას, მათ შორის, შეკრებების გზით, სქესის დამადასტურებელი მზრუნველობის აკრძალვას და სქესის მარკერების შეცვლას პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებსა და სამოქალაქო აქტებში.

4. სახელმწიფო დალატის დანაშაულის წინაპირობები უნდა შევიწროვდეს და უფრო კონკრეტული გახდეს, რათა გამოირიცხოს ინტერპრეტაცია, რომელიც საშუალებას იძლევა, მთავრობის უბრალო კრიტიკის გამო დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის ან FARA-ს ფარგლებში მოქცეული პირების მიმართ.

5. უნდა გაუქმდეს რეგულაციები, რომლებიც აწესებს დემონსტრაციების დროს სახის დაფარვის აბსოლუტურ აკრძალვას. უნდა გაუქმდეს ან გადაიხედოს სხვა რეგულაციები, რომლებიც არაპროპორციულად ზღუდავს შეკრების უფლებას (როგორცაა ავტომატური დაკავება და არაპროპორციულად მაღალი ჯარიმები), რათა უზრუნველყოფილი იყოს სათანადო ბალანსი ამ უფლებასა და საზოგადოებრივ წესრიგს შორის.

6. უმაღლესი განათლების რეფორმირების პროცესში აკადემიური დაწესებულებების ავტონომია უნდა იყოს დაცული.

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვის შესახებ:

1. დაუყოვნებლივ შეწყდეს ფიზიკური ძალის არაპროპორციული გამოყენება, კერძოდ, წამება და სხვა სახის არასათანადო მოპყრობა მშვიდობიანი მომიტინგეების, ჟურნალისტებისა და პოლიტიკური ოპონენტების მიმართ.

2. უზრუნველყოფილი იყოს ძალის პროპორციული გამოყენება იმ მომიტინგეების მიმართაც, რომლებიც ძალადობრივ ქცევას ავლენენ.

3. ჩატარდეს დაუყოვნებელი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება წამებისა და არასათანადო მოპყრობის ბრალდებებთან დაკავშირებით.

4. უზრუნველყოფილი იყოს, რომ დაკავებული პირების დაკავებისა და ტრანსპორტირების პროცესი შეესაბამებოდეს ადამიანის ღირსების მოთხოვნებს. უზრუნველყოფილი იყოს დაკავების ღირსეული პირობები.

5. შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოფილი იყოს ბავშვების დაცვა პოლიციის რეიდების ზემოქმედებისგან და დაინერგოს ბავშვთა მიმართ მგრძობიარე პრაქტიკა პოლიციის ოპერაციების დროს.

თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების შესახებ:

1. დაუყოვნებლივ და უპირობოდ გათავისუფლდეს პოლიტიკური მიზეზებით დაკავებული ყველა პატიმარი, განსაკუთრებით, ოპოზიციის წევრები. მომავალში თავიდან იყოს არიდებული პოლიტიკური მიზეზებით მათი დაკავება.

2. დაუყოვნებლივ გათავისუფლდნენ ჟურნალისტები და საჯარო დებატების სხვა მონაწილეები, რომლებიც დააკავეს გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისთვის. თავიდან იყოს არიდებული მომავალში მსგავს გარემოებებში დაკავება.

3. პატივი ეცით კანონიერების, პროპორციულობისა და სამართლიანი სასამართლო პროცესის პრინციპებს თავისუფლების აღკვეთისას.

სამართლიანი სასამართლო პროცესის უფლების შესახებ:

1. დაცული იყოს სამართლიანი სასამართლო პროცესის სტანდარტები, მათ შორის, უდანაშაულობის პრეზუმფცია, მხარეთა თანასწორობა და სისხლის სამართლის პროცესში იურიდიულ დახმარებაზე სწრაფი წვდომა.
2. უზრუნველყოფილი იყოს სასამართლოს დამოუკიდებლობა, კონკრეტულად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი რეფორმის გზით.
3. შეწყდეს ბრალდებულის მოთავსება ნებისმიერი სახის გალიებში, თუ არ არსებობს უსაფრთხოების დარღვევის რეალური რისკი სასამართლო პროცესის დროს.
4. უზრუნველყოფილი იყოს, რომ ადვოკატებს ჰქონდეთ წვდომა შესაბამის ინფორმაციაზე, ფაილებსა და დოკუმენტებზე და საკმარის დრო მათ გასაცნობად, რათა უზრუნველყონ ეფექტიანი იურიდიული მხარდაჭერა.
5. უზრუნველყოფილი იყოს სასამართლო პროცესის ადეკვატური გამჭვირვალობა.
6. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის პროცედურები საჭიროებს რეფორმას, რათა დაკავება არ იყოს დაფუძნებული მხოლოდ პოლიციის დაუსაბუთებელ ჩვენებაზე.

შეკრების, გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ:

1. უზრუნველყოფილი იყოს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორცაა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 2020 წლის ზოგადი კომენტარი 37 და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) პრეცედენტული სამართალი.
2. ადამიანთა სპონტანური შეკრებები განიხილებოდეს, როგორც შეკრების უფლების ნაწილი.
3. შეწყდეს საპროტესტო აქციების გაშუქებისას ჟურნალისტების მიზანმიმართული დასჯა.
4. სახელმწიფომ თავი შეიკავოს საპროტესტო აქციების მშვიდობიანი მონაწილეების თვითნებური დაკავებისა და დაჯარიმებისგან.
5. თავიდან იყოს არიდებული მთავრობის პოლიტიკისა და ქმედებებისადმი კრიტიკულად განწყობილი ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციების თვითნებური დასაწყვირება.
6. უზრუნველყოფილი იყოს ადამიანის უფლებათა დამცველების დაცვა გაეროს ადამიანის უფლებათა დამცველთა 1998 წლის დეკლარაციისა და ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების დაცვის 2014 წლის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.
7. შემცირდეს შეზღუდვები საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მაუწყებლების მიერ უცხოური მხარდაჭერის მიღებაზე, იმ დონემდე, რაც აუცილებელია ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად.
8. თავიდან იყოს არიდებული ჟურნალისტების მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი გაუმართლებელი რეპრესია, მათი აღჭურვილობისა და კადრების უსაფუძვლო ჩამორთმევა და დაზიანება.
9. გაუქმდეს მაუწყებლობის შესახებ კანონით გათვალისწინებული გადაჭარბებული შეზღუდვები მაუწყებლობის შინაარსზე.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შესახებ:

1. შეწყდეს პოლიტიკური ოპონენტების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (CSO) და ლგბტ+ პირების მიმართ სტიგმატიზაციისა და დაშინების კამპანია, შეიცვალოს შესაბამისი კანონები.
2. უზრუნველყოფილი იყოს, რომ არ შეგროვდეს ზედმეტი პერსონალური მონაცემები და არ იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი მგრძობიარე ინფორმაცია, მათ შორის, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონისა და FARA-ს განხორციელებასთან დაკავშირებით.

ანგარიშვალდებულების შესახებ:

1. უზრუნველყოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი აუცილებელი საშუალებებითა და რესურსებით, რათა მან შეძლოს აპარატის ყველა ამოცანის, მათ შორის, პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან დაკავშირებული ფუნქციების შესრულება.
2. დაუყოვნებლივ გამოიძიოს პოლიციის/უსაფრთხოების ძალებისა და დაუდგენელი, ნიღბიანი პირების მიერ ჩადენილი წამებისა და არასათანადო მოპყრობის ყველა სავარაუდო ფაქტი.
3. უზრუნველყოს ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებები ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევების ფაქტებზე.
4. უზრუნველყოს სრული კომპენსაციის გადახდა ყველა იმ მსხვერპლისთვის, რომლებიც დაზარალდნენ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ არასათანადო მოპყრობის შედეგად.
5. მიიღოს შესაბამისი დისციპლინური ზომები იმ თანამდებობის პირების მიმართ, რომლებიც, სარწმუნო მტკიცებულებებით, მონაწილეობენ სერიოზულ გადაცდომებში.

საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ:

1. ითანამშრომლოს ვენეციის კომისიასთან, ასევე სხვა შესაბამის საერთაშორისო ორგანოებთან, რომელთა მანდატიც ვრცელდება საქართველოზე და გაითვალისწინოს მათი რეკომენდაციები.
2. ითანამშრომლოს ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციასთან (OPCW), რათა განიმარტოს აქციის მონაწილეების წინააღმდეგ ქიმიური ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებული ბრალდებები.
3. 1949 წლის ჟენევის კონვენციების პირველი დამატებითი ოქმის შესაბამისად, აღიაროს ჰუმანიტარული ფაქტების დამდგენი საერთაშორისო კომისიის კომპეტენცია და მოახდინოს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) რომის სტატუტის დარჩენილი ცვლილებების რატიფიცირება, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის გათვალისწინებით.
4. უზრუნველყოს ყველა პირის იძულებითი გაუჩინარებისგან დაცვის შესახებ 2006 წლის საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირება.

რეკომენდაციები უუთოს (OSCE) წევრი სახელმწიფოებისთვის:

1. მოითხოვოს და მხარი დაუჭიროს საქართველოს მთავრობის მიერ ზემოაღნიშნული რეკომენდაციების შესრულებას.
2. უზრუნველყოს მოსკოვის მექანიზმის მიგნებების სისტემატური მონიტორინგი, მათ შორის, მუდმივმოქმედ საბჭოში პერიოდული განხილვების გზით.
3. განიხილოს მიზნობრივი სანქციების დაწესება იმ პირთა მიმართ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მოცემულ ანგარიშში აღწერილ განსაკუთრებით არსებით დარღვევებზე.
4. გააგრძელოს ძალისხმევა ყველა შესაბამის აქტორს შორის დიალოგის ხელშესაწყობად.
5. გაგზავნოს საარჩევნო სადამკვირვებლო მისია მომავალი არჩევნებისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს გამჭვირვალობა და სამართლიანობა.
6. განიხილოს საქართველოში უუთოს ოფისის გახსნის შესაძლებლობა.
7. მხარი დაუჭიროს სამოქალაქო საზოგადოების დამოუკიდებელ აქტორებს საქართველოში და დევნილ ქართულ სამოქალაქო ორგანიზაციებს (CSO).

რეკომენდაციები საერთაშორისო საზოგადოებას:

1. მხარი დაუჭიროს ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და დოკუმენტირებას.
2. განიხილოს წამების, არაადამიანური მოპყრობისა და ამაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელი პირების მართლმსაჯულების წინაშე წარდგენა ეროვნულ სასამართლოებში, სადაც ეს შესაძლებელია, მათ შორის, უნივერსალური იურისდიქციის გამოყენებით.
3. უზრუნველყოს იმ პირთა დაცვა და დახმარება, რომლებსაც ქვეყნის დატოვება მოუწიათ, მათ შორის, შესაბამისი საერთაშორისო დაცვის მინიჭების გზით, ასევე ადამიანის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებული დაზიანებებისა და ტრავმების მკურნალობის გზით.
4. მხარი დაუჭიროს უფლებადამცველებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებიც ხელს უწყობენ და იცავენ ადამიანის უფლებებს, მათ შორის, დევნილი სამოქალაქო საზოგადოების რეგისტრაციის გზით.
5. მხარი დაუჭიროს საქართველოს აუცილებელი სამართლებრივი რეფორმების გატარების მიზნით.
6. ხელი შეუწყოს გაეროს სპეციალური პროცედურების ჩართვას ადამიანის უფლებათა დაცვასა და პოპულარიზაციაში, განიხილოს საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის შექმნა. გაეროს სპეციალურ პროცედურებსა და ადამიანის უფლებათა საბჭოს სხვა მექანიზმებს შორის, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შემდეგს:
 - ა. თვითნებური დაკავების საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფს (WGAD) - რაც განსაკუთრებით სასარგებლოა, რადგან არ არსებობს ეროვნული სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვის მოთხოვნა;
 - ბ. სპეციალურ მომხსენებელს წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის საკითხებში;

- გ. სპეციალურ მომხსენებელს აზრისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის საკითხებში;
- დ. სპეციალურ მომხსენებელს მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებების საკითხებში;
- ე. სპეციალურ მომხსენებელს უფლება დამცველთა მდგომარეობის შესახებ;
- ვ. სპეციალურ მომხსენებელს მოსამართლეთა და იურისტთა დამოუკიდებლობის საკითხებში;
- ზ. სპეციალურ მომხსენებელს იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების შესახებ;
- თ. სპეციალურ მომხსენებელს უმცირესობათა საკითხებში;
- ი. სპეციალურ მომხსენებელს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შესახებ;
- კ. დამოუკიდებელ ექსპერტს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის საკითხებში;
- ლ. სპეციალურ მომხსენებელს ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ;
- მ. ქალთა და გოგონათა მიმართ დისკრიმინაციის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფს.

7. აქტიურად ჩაერთოს საქართველოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) შემდგომი ღონისძიებების განხორციელებაში.
8. 1992 წლის ქიმიური იარაღის კონვენციის წევრმა სახელმწიფოებმა, შესაძლოა, განიხილონ ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის (OPCW) აღმასრულებელი საბჭოსთვის მიმართვა, რათა 1992 წლის ქიმიური იარაღის კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად მოხდეს საქართველოს ხელისუფლების მიერ ქიმიური იარაღის სავარაუდო გამოყენების ფაქტების დაზუსტება.
9. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია; ECHR) წევრმა სახელმწიფოებმა, შესაძლოა, განიხილონ სახელმწიფოთა შორისი განაცხადის წარდგენა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (ECtHR), ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 33-ე მუხლის შესაბამისად.
10. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის წევრმა სახელმწიფოებმა, ისევე, როგორც სხვა ორგანოებმა, ვენეციის კომისიამ, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა (CSO), შესაძლოა, განიხილონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მიმდინარე და მომავალ სამართალწარმოებებში ჩართვა.
11. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებების გამოტანის შემთხვევაში, კონვენციის წევრმა სახელმწიფოებმა, ისევე, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, შესაძლოა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების აღსრულებაში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მეშვეობით.
12. წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის (CAT) წევრმა სახელმწიფოებმა, შესაძლოა, განიხილონ სახელმწიფოთა შორისი შეტყობინების წარდგენა წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტში.

13. წამების წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის (CAT) წევრმა სახელმწიფოებმა, შესაძლოა, განიხილონ სარჩელის წარდგენა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში.
14. წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტმა, ისევე, როგორც გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტმა (SPT), განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საქართველოში არსებულ ვითარებას.
15. ვენეციის კომისია ჩაერთოს შესაბამისი კანონპროექტების შემდგომ შეფასებებში.
16. რომის სტატუტის წევრმა სახელმწიფოებმა, შესაძლოა, განიხილონ საქართველოში არსებული ვითარების გადაცემა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის, პოლიტიკური დევნის, წამებისა და სხვა არაადამიანური ქმედებების მზარდი რაოდენობის გათვალისწინებით.
17. ევროპის საბჭოს (CoE) ადამიანის უფლებათა კომისარმა, შესაძლოა, განიხილოს საქართველოში ვიზიტი.
18. ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა, შესაძლოა, საქართველოს მოსახლეობას განმარტება, როგორ უზრუნველყოფს ეროვნული კანონმდებლობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ნებისმიერი დებულების ეფექტიან იმპლემენტაციას (ECHR-ის 52-ე მუხლი).